“გონგის” შემდეგ…

“დინამო” თბილისი – “ლოკომოტივი” მოსკოვი – 1:0 (0:0).

24 მარტი, თბილისი, ვ. ი. ლენინის სახელობის “დინამოს” სტადიონი.

“დინამო” – გაბელია, კოსტავა, კანთელაძე (დურდიაძე), ჩივაძე, გ. მაჩაიძე, დარასელია, მ. მაჩაიძე, ქორიძე, გუცაევი, ჭილაია (ჩელებაძე), შენგელია.

“ლოკომოტივი” – სამოხინი, კალაიჩევი, ალექსანდროვი, კამზულინი, სოლოვიოვი, კუზნეცოვი, მიხაილოვი, ზიუზინი (სუსინი), რიახოვსკი (შელესტი), ავერიანოვი, პანტელეევი.

მსაჯი: ა. ტემეტევი (უჟგოროდი).

…დინამოელთა მარცხენა გარემარბს შენგელიას, რომლებმაც გუშინდელ მატჩში თბილისის სტადიონზე ერთადერთ ბურთი გაიტანა, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სპეციალური პრიზი გადაეცა, მაგრამ ამ დღეს საუკეთესო თავდამსხმელის ჯილდო რომ ყოფილიყო დაწესებული, მას უთუოდ თბილისელთა მცველი გ. მაჩაიძე მიიღებდა. სწორედ მისი ოსტატური რეიდის შემდეგ შექმნეს მასპინძლებმა ის 5 თუ 6 საგოლე მომენტი, რომელიც ამ მატჩში ვიხილეთ.

ლოკომოტიველებმა უკვე პირველსავე წუთზე ჩამოაწოდეს კუთხური ჩვენს კართან და შემდგომშიც მართლაც გააზრებული, ენერგიული თამაში აჩვენეს. განსაკუთრებით კარგად მოქმედებდა გუნდის კაპიტანი ალექსანდრე ავერიანოვი (მან მანუჩარ მაჩაიძესთან ერთად საზეიმო ვითარებაში აღმართა ჩემპიონატის ალამი).

გაცილებით უკეთ ჩაატარეს დინამოელებმა მეორე ნახევარი. ბურთისათვის ახლა ყველა მონდომებით იბრძოდა, მაგრამ გოლი არა და არ ჩანდა! და როდესაც, როგორც იტყვიან, უკვე “გაისმა გონგის ხმა”, ე.ი. მატჩის დამთავრებას 5 წუთიღა აკლდა, შენგელიამ მიიღო კოსტავას მიერ საჯარიმო დარტყმიდან მოწოდებული ბურთი და ლამაზი თავური დარტყმით გაგზავნა იგი მოსკოველთა კარში – 1:0.

ო. ოთარაშვილი.

“ლელო”, 25 მარტი, 1979 წ.